



გალტი & თავართი

მშენებლის მისაკმალოება

ნედლეულის ბაზრის ყოველთვიური მიმოხილვა

10 აპრილი 2024

ევა ბოჭორიშვილი

კვლევების დეპარტამენტის უფროსი | evabochoreshvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.8036

კახაბერ სამყურაშვილი

სექტორული კვლევების უფროსი | ksamkurashvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.4298

სერგი ყურაშვილი

უფროსი ანალიტიკოსი | s.kurashvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.3654



ნედლეულის ფასების დინამიკა

ნედლეული	ფასი	ცვლილება, თვე/თვე*	ცვლილება, 2024 წლის დასაწყისიდან	ფასის ცვლილება 2021 წლის იანვრიდან დღემდე
ამონიუმის ნიტრატი აშშ დოლარი/ტონა	240.0	+11.6%	+33.3%	
ნავთობი (brent) აშშ დოლარი/ბარელი	87.5	+4.6%	+13.6%	
სპილენძი აშშ დოლარი/ტონა	8,766.5	+4.3%	+3.6%	
ფეროსილიკონი (ჩინეთი) აშშ დოლარი/ტონა	1,225.0	-4.7%	-8.2%	
ფეროსილიკონი (ევროპა) აშშ დოლარი/ტონა	1,510.5	-0.1%	+9.2%	
ოქრო აშშ დოლარი/უნცია	2,229.9	+9.1%	+8.1%	
ბუნებრივი აირი აშშ დოლარი/მცტ სთ	31.2	+14.7%	+0.1%	
ხორბალი აშშ დოლარი/ტონა	195.0	-8.0%	-25.6%	

წყარო: ბლუმბერგი

შენიშვნა: ფასები მოცემულია 2024 წლის 29 მარტის მდგომარეობით

*თ/თ გულისხმობს თვის ბოლო მონაცემების ცვლილებას



ენერჯეტიკა

ნავთობი

2024 წლის მარტში ნავთობის ფასი თვიურად 4.6%-ით გაიზარდა (+13.6% 1კვ24-ში). კვარტალურად დაფიქსირებული ზრდის შემდეგ, ფასის \$100-მდე ზრდა კვლავ რეალური გახდა. JP Morgan-ის სცენარის მიხედვით, ნავთობს შეუძლია სამნიშნა ფასებს სექტემბრამდე მიაღწიოს, თუმცა რამდენიმე ფაქტორი არსებობს, რამაც შესაძლოა ეს ზრდა შეანელოს. კერძოდ, OPEC+ის გადაწყვეტილებები, აშშ-ს წარმოების დინამიკა და მისი სტრატეგიული რეზერვები.


თვის დასაწყისში OPEC+მა წარმოების ნებაყოფლობითი შემცირება (დაახლ. 2 მლნ ბარელი დღეში) ივნისამდე განაგრძო. ამ შეხვედრის შედეგი მოსალოდნელი იყო, თუმცა ივნისის გადაწყვეტილება მეტად საყურადღებო იქნება, რასაც შეეძლება ფასზე იმოქმედოს. IEA-ს (ენერჯეტიკის საერთაშორისო სააგენტო) მიხედვით, წარმოების შემცირების გაგრძელებამ შესაძლოა ბაზარზე დეფიციტი გამოიწვიოს, რაც ფასებს მნიშვნელოვნად გაზრდის. საუდის არაბეთისთვის მალალი ფასები ხელსაყრელია, თუმცა ჯო ბაიდენისთვის პირიქით. შედეგად, არჩევნებამდე შესაძლოა აშშ-მ კიდევ ერთხელ გამოიყენოს თავისი სტრატეგიული რეზერვები შიდა ბაზარზე ნავთობპროდუქტების ფასების სტაბილიზაციისთვის.

ანალიტიკოსების მიხედვით, აშშ-ს წარმოებამ მიმდინარე წელს შესაძლოა დღეში 14 მლნ ბარელს მიაღწიოს, რაც რეკორდული მაჩვენებელი იქნება. ზრდა ქაბურღილების გაზრდილი ეფექტურობითა და შემცირებული დანახარჯებით იქნება განპირობებული. დამატებით, სანქციების ახალი ტალღა რუსეთის ვაჭრობას აფერხებს და შესაბამისად, მოსკოვს ნავთობ-შემოსავლებს უმცირებს. მაგალითად, სანქციების გამო ინდური გადამამუშავებლები რუსული Sovcomflot-ის კუთვნილ ტანკერებს აღარ იღებენ. აქამდე ინდოეთი რუსეთისათვის ნავთობის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორი იყო. სანაცვლოდ, მზარდია აშშ-ს ექსპორტი ინდოეთის მიმართულებით.

გასულ თვეში ფასების მნიშვნელოვანი მამოძრავებელი უკრაინის მიერ რუსეთის ტერიტორიაზე განხორციელებული დარტყმებიც იყო. უკრაინელმა სამხედროებმა დრონების გამოყენებით რამდენიმე მნიშვნელოვანი ნავთობგადამამუშავებელი საწარმო გამოყვანეს მწყობრიდან, რამაც ნავთობის ფასი 2.7%-ით გაზარდა. აშშ-მ კიევს მოუწოდა შეეჩერებინა საწარმოებზე დარტყმები, თუმცა ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, \$60 მლრდ სამხედრო დახმარების პაკეტის გარეშე (რომელზეც მსჯელობა კონგრესში დიდი ხანია მიმდინარეობს) უკრაინას მოუწევს განაგრძოს შეტევები რუსულ სამხედრო ობიექტებსა და მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურაზე.


აპრილი ნავთობისათვის დატვირთული თვე იქნება, რადგან სიტუაცია ახლო აღმოსავლეთში ესკალირებას განაგრძობს. დამასკოში ირანის საელჩოს აფეთქებას მსხვერპლი მოჰყვა. ირანული მხარე ისრაელს ადანაშაულებს და შურისძიებაზე კეთდება განცხადებები.

გრაფიკი 1: ნავთობის ფასი (BRNOO), აშშ დოლარი/ბარელი



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 2: ნავთობპროდუქტების იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



ბენზინის და დიზელის იმპორტის მოცულობა 11.7%-ით შემცირდა 2024-ში და 185 ტონა შეადგინა. იმპორტის საშუალო ფასი ამავე პერიოდში 4.4%-ით გაიზარდა.

წყარო: საქსტატი



ენერჯეტიკა

ბუნებრივი აირი


2024 წლის მარტში ბუნებრივი აირის ფასი თვიურად 14.7%-ით გაიზარდა (+0.1% 1კვ24-ში). მიუხედავად თვიური ზრდისა, ფასი წლის დასაწყისიდან თითქმის არ შეცვლილა, რაც ენერჯეტიკის მდგრადი დონეზე დასტაბილურებას მიუთითებს.

დაბალი ფასების გამო განვითარებადი აზიის ქვეყნებმა გათხევადებული ბუნებრივი აირის (LNG) შესყიდვები გაზარდეს, რამაც მარტში 24 მლნ ტონას მიაღწია (+12% წ/წ). ზრდა ძირითადად ჩინეთის, ინდოეთისა და ტაილანდის დამსახურება იყო. LNG-ს ვაჭრობა, სავარაუდოდ, აზიის მიმართულებით განაგრძობს აქტიურობას, რადგან ევროპული მარაგები სეზონურ პიკზეა. როგორც წინამდებარე წელში აღვნიშნეთ, კატარი, აზიის უმსხვილესი მომმარაგებელი, 2030 წლამდე საკუთარი წარმოების თითქმის გაორმაგებას აპირებს. მარტში კატარმა აზიურ კომპანიებთან ხელშეკრულება გააფორმა და 19 LNG გადამზიდი დაიმატა, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ამ სექტორში დომინაციის სურვილს.


მოთხოვნის მხარეს, ბუნებრივი აირი ახალ მომხმარებელ სექტორს იძენს ხელოვნური ინტელექტის (AI) სახით. დატა ცენტრებისგან მზარდია ბუნებრივი აირის მეშვეობით წარმოებული ელექტროენერჯის მოთხოვნა, რათა შედგონ „AI რეკონსტრუქციის“ საჭირო ენერჯეტიკის მოთხოვნის მოძიება. ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ბუნებრივი აირის მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ტექნოლოგიური ენერჯეტიკის დაკმაყოფილებაში და ამ მიზნისთვის უფრო სანდო წყაროს წარმოადგენს ვიდრე განახლებადი ენერჯია. მიუხედავად სუფთა ენერჯიზე გადასვლის მცდელობებისა, სავარაუდოა რომ ეს სფერო ბუნებრივი აირის მოთხოვნაზე იმოქმედებს. მაგალითისთვის მხოლოდ Microsoft გლობალურად სამ დღეში ერთხელ ხსნის დატა ცენტრს. ამ ტენდენციის გამო გარემოს დამცველები შეშფოთებულები არიან, რადგან შიშობენ რომ ბუნებრივი აირის ინფრასტრუქტურის განვითარება მნიშვნელოვნად შეაფერხებს გლობალურად კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგოდ დაგეგმილ აქტივობებს.

ერთის მხრივ, Google-სა და Microsoft-ს გაცხადებული მიზანი აქვთ რომ საკუთარი ოპერაციები მწვანე ელექტროენერჯით წარმართონ. მეორეს მხრივ, ECP-ს (Energy Capital Partners) მიხედვით, გაზი ერთადერთი ეფექტური და სანდო ენერჯია, რომელსაც შეუძლია მსხვილი ტექნოლოგიური და AI კომპანიები დააკმაყოფილოს. შესაბამისად, ჯერ კვლავ უცნობია რამდენად ინტენსიური იქნება ამ ინდუსტრიაში ბუნებრივი აირის გამოყენება. ზოგადად, IEA-ს მიხედვით, გლობალურად დატა ცენტრების მიერ ელექტროენერჯის მოხმარება 1,000 ტვტ.სთ-ს მიაღწევს 2026 წელს, რაც 2022 წლის მაჩვენებელზე ორჯერ დიდია და გერმანიის ჯამურ მოხმარებას უტოლდება.

გრაფიკი 3: ბუნებრივი აირის ფასი (ICE Endex Dutch TTF), აშშ დოლარი/მვტ სთ



გრაფიკი 4: ბუნებრივი აირის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



ბუნებრივი აირის იმპორტის ღირებულება წლიურად 30.1%-ით შემცირდა 2024-ში, რაც დაბალი საიმპორტო ფასის შედეგია, რადგან მოცულობა ბევრად ნაკლებად 17.9%-ით შემცირდა წ/წ.



ძვირფასი ლითონები


ოქრო

2024 წლის მარტში ოქროს ფასი თვეურად 9.1%-ით გაიზარდა (+8.1% 1კვ24-ში). გასული კვარტლის განმავლობაში ძვირფასმა მეტალმა არაერთხელ მიაღწია რეკორდულ ნიშნულს. ზრდის განმაპირობებელი ფაქტორები იგივეა (ჩინური მოთხოვნა, ცენტრალური ბანკები და გეოპოლიტიკური რისკების ჰეჯირება), რაც ჩვენს წინა გამოცემებში განვიხილეთ (იხილეთ [აქ](#) და [აქ](#)).

კერძოდ, ჩინეთიდან გაზრდილი მოთხოვნა ოქროს ფასის ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი იყო 2023 წლიდან დღემდე. ეს აქტივობა სავარაუდოა, რომ გაგრძელდება, რასაც ადასტურებს რამდენიმე ფაქტი. კერძოდ, ჩინეთში ოქროს იმპორტი 2024 წლის პირველ ორ თვეში 367 ტონამდე გაიზარდა (+51% წ/წ), ხოლო ჩინური ახალი წლის პერიოდში ძვირფასი მეტალის სამკაულების გაყიდვა, წინა წელთან შედარებით, 24%-ით იყო გაზრდილი. ამასთან, ცენტრალური ბანკების როლი ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს. პირველ რიგში, აღსანიშნავია მათ მიერ გაზრდილი შესყიდვები, რითიც ცდილობენ საკუთარი რეზერვების დივერსიფიკაციას. გლობალურ რეზერვებში ოქროს წილმა 14.4%-ს მიაღწია 2023 წელს, 2015 წლის 8.2%-თან შედარებით. მეორეს მხრივ, ცენტრალური ბანკების საპროცენტო განაკვეთების შემცირებაა მოსალოდნელი, რამაც ოქროს ფასზე დადებითად უნდა იმოქმედოს.


აღსანიშნავია, რომ ოქროს ფასის ზრდის პარალელურად ოქროს ETF-ებში ინვესტიციები მცირდება. ზოგი ანალიტიკოსი ამ ტრენდს ბიტკოინის ETF-ების გამოჩენას უკავშირებს და ამბობს, რომ ინვესტორები ფიზიკური ოქროსა და „ციფრულ ოქროს“ (ბიტკოინზე) გადადიან. ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტიც, რომ ოქროს ETF-ებმა \$7.7 მლრდ დაკარგეს ბიტკოინის ETF-ების გამოჩენის შემდეგ. მეორეს მხრივ, JP Morgan ამტკიცებს, რომ ოქროს ETF-ებიდან ინვესტიციების გადინების ტრენდი ბევრად ადრე 2022 წლის აპრილში დაიწყო რადგან კერძო ინვესტორები და ცენტრალური ბანკები ფიზიკური მეტალის ფლობას ამჯობინებენ და ბიტკოინის ინსტრუმენტების გამოჩენას ეს პროცესი არ დაუჩქარებია. მსოფლიო ოქროს კავშირის (WGC) მიხედვით, 2020 წლის სექტემბრიდან 2023 წლის დეკემბრის ჩათვლით საცალო ინვესტორებმა \$229 მლრდ, ხოლო ცენტრალურმა ბანკებმა \$155 მლრდ ლირებულების ოქროს ზოდები და მონეტები შეიძინეს. მსგავსი ცვლილება მიუთითებს, რომ ინვესტორების პრეფერენციები ETF-ებიდან ფიზიკურ აქტივებზე ინაცვლებს, რაც უფრო მეტ პრივატულობას სთავაზობს მფლობელს. შესაბამისად, JP Morgan-ის ანალიტიკოსების მიხედვით ოქროსადმი მოთხოვნა მზარდია, რასაც ცენტრალური ბანკები და საცალო ინვესტორები განაპირობებენ. შესაბამისად, ამ ეტაპზე, ბიტკოინის გავლენა ძვირფას მეტალსა და მის ETF-ებზე ლიმიტირებულია.

გრაფიკი 5: ოქროს ფასი, აშშ დოლარი/უნცია



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 6: ოქროს ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



ოქროს ექსპორტის მოცულობა წლიურად 26/7%-ით შემცირდა 2024-ში. გლობალურად ფასის ზრდამ ექსპორტის საშუალო ფასზეც იმოქმედა, რომელიც წლიურად 17.0%-ით გაიზარდა.

წყარო: საქსტატი



სოფლის მეურნეობა


ამონიუმის ნიტრეტი

2024 წლის მარტში ამონიუმის ნიტრეტის ფასი თვიურად 11.6%-ით გაიზარდა (+33.3% 1კვ24-ში). მიუხედავად ზრდისა, ინდუსტრიას რამოდენიმე გამოწვევის გადალახვა მოუწევს ახლო და საშუალოვადიან პერიოდში. მათ შორის აღსანიშნავია ახალი ინდუსტრიული ნორმების მიღება, წარმოებისათვის საჭირო ნელელის ცვალეზად ფასებთან გამკლავება და მოსალოდნელი სუსტი ეკონომიკური ზრდა. თუმცა, მსხვილ ეკონომიკებში პოტენციური გაჯანსაღების და მიწოდების ჭაჭვის შესაძლო გამოსწორების (წითელი ზღვის ჩათვლით) გზით, შესაძლოა სასუქების მოთხოვნის მეტად გამოკეთება 2024 წლის მეორე ნახევრისათვის.

ხორბალი

2024 წლის მარტში ხორბლის ფასი თვიურად 8.0%-ით შემცირდა (-25.6% 1კვ24-ში). გასულ კვარტალში ევროკავშირში ფერმერების პროტესტი მნიშვნელოვანი თემა იყო მარცვლეულის ინდუსტრიისათვის. ფერმერები მოითხოვენ გაუქმდეს უკრაინისათვის მიწიჭებული სავაჭრო შეღავათები, რაც ქვეყანას ევროკავშირის ბაზართან თითქმის შეუზღუდავ წვდომას აძლევს. ახლანდელი ზომები 5 ივნისს იწერება, სამომავლო გეგმები კი უახლოეს კვირებში გახდება ცნობილი. ამასთან, უკრაინამ 2022-23 წლებში ევროკავშირში ხორბლის ექსპორტი 17-ჯერ გაზარდა ომამდელ დონესთან შედარებით. უკრაინის სოფლის მეურნეობის მინისტრის მიხედვით, დაბალი ფასების ძირითადი მიზეზი არა უკრაინა, არამედ ზოგადად მსოფლიოში გაზრდილი წარმოებაა. მისივე განცხადებით, მიმდინარე წელს უკრაინაში ხორბლის მოსავალი წინა წელთან შედარებით 5-10%-ით ნაკლები იქნება, რაც ნათესი მიწების შემცირებითაა გამოწვეული.

გრაფიკი 7: ამონიუმის ნიტრეტის ფასი (შავი ზღვის რეგიონი), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 8: ხორბლის ფასი (Black Sea wheat Financially Settled Futures), აშშ დოლარი/ტონა



წყარო: ბლუმბერგი


გრაფიკი 9: ავოტოვანი სასუქების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



ავოტოვანი სასუქების ექსპორტის ღირებულება წლიურად 1.9%-ით გაიზარდა 2024-ში. აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ექსპორტის მოცულობა (+116.2% წ/წ), ხოლო საექსპორტო ფასი შემცირებულია (-52.9%).

წყარო: საქსტატი

გრაფიკი 10: ხორბლის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



ხორბლის იმპორტის ღირებულება წლიურად 14.0%-ითაა გაზრდილი 2024-ში, ხოლო მოცულობა 44.1%-ით, რაც შემცირებული საშუალო იმპორტის ფასითაა გამოწვეული (-20.9% წ/წ).

წყარო: საქსტატი



ლითონები და მადნები


სპილენძის მადნები და კონცენტრატები

2024 წლის მარტში სპილენძის ფასი თვიურად 4.3%-ით გაიზარდა (+3.6% 1კვ24-ში). მიუხედავად ჩინეთის ეკონომიკის ნელი ზრდისა, ინვესტორები ბაზარზე დეფიციტს ელოდნენ, რაც ცენტრალური ბანკების შემცირებული განაკვეთებითა და შემცირებული გადამამუშავებით იქნება გამოწვეული. სპილენძის გადამამუშავებლები წარმოების შემცირებას კონცენტრანტების ნაკლებობის გამო გეგმავენ, რაც ფასის აღმასვლას შეუწყობს ხელს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე ბაზარზე დეფიციტის ნიშნები ცხადი არ არის, ანალიტიკოსების მიხედვით, ის მაშინ გამწვავდება, როცა წარმოება შემცირდება, ხოლო კლებადი განაკვეთების ფონზე ინდუსტრიული მოთხოვნა გაიზარდება. მათი ანალიზით, სპილენძის ფასმა წლის ბოლომდე \$10,000-\$10,200-ს შესაძლოა მიაღწიოს.


ფეროსილიკონი

2024 წლის მარტში ევროპული ფეროსილიკონის ფასი თვიურად 0.1%-ით (+9.2% 1კვ24-ში), ჩინურის კი 4.7%-ით შემცირდა (-8.2% 1კვ24-ში). ევროპული მეტალის ფასის კვარტალური ზრდა წითელი ზღვის კრიზისის გამო შემცირებულ ინდურ მიწოდებას უკავშირდება. ჩინურ ბაზარზე დაღმასვლა კი უძრავი ქონების პრობლემებისა და სუსტი ინფრასტრუქტურული მოთხოვნის შედეგია. რკინის მადნის ფასი აზიაში ათთვიან მინიმუმზე დაეცა, აღმასვლის პოტენციალი კი დამაიმედებლად არ გამოიყურება.

გრაფიკი 11: სპილენძის ფასი (LME), აშშ დოლარი/ტონა




გრაფიკი 12: ფეროსილიკონის (75%-იანი სინჯი) ფასი, აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 13: სპილენძის საგარეო ვაჭრობა საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



გრაფიკი 14: ფეროშენადნობების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



სპილენძით საგარეო ვაჭრობის უდიდესი ნაწილი რეექსპორტია და გარე ფაქტორებზეა დამოკიდებული. 2023 წლის კვების შემდეგ, იმპორტისა და ექსპორტის მოცულობა თითქმის განულებულია 2024-ში.

ფეროშენადნობების ექსპორტის ღირებულება წლიურად 41.3%-ით შემცირდა 2024-ში, რაც ფასების კლებით აიხსნება, რამაც მწარმოებლებს უბიძგა შეემცირებინათ ექსპორტის მოცულობაც (-26.3% წ/წ).

წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომხმარებელია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვათ ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოთხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიმართ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაყვლითი ექსპონენსია.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიმართ. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწინააღმდეგობა ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების, ან აგენტების მიერ არ გაყვამულია რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის მიერ კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე, მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმეულს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირება უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გააღვიძოს მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოფს დაცვას.

კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ევა ბოჭორიშვილი | evabochorishvili@gt.ge

მთავარი ეკონომისტი
ლაშა ქავთარაძე | lashakavtaradze@gt.ge

ანალიტიკის მთავარი ოფიცერი
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

სექტორული კვლევების განყოფილების ხელმძღვანელი
კახაბერ სამყურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

სექტორის უფროსი
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

სექტორის უფროსი
თათია მამრიკიშვილი | tmamrikishvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
გიორგი ცქიტაშვილი | g.tsikitishvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
ზურაბ თავკელიშვილი | ztavkeshvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
სერგი ყურაშვილი | s.kurashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
დაჩი მუჯირიშვილი | dmujirishvili@gt.ge

ანალიტიკოსი
მარიამ ოქროპირიძე | maokropiridze@gt.ge

ანალიტიკოსი
ოთარ ცუხიშვილი | otsukhishvili@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge